1888 წელსა, № 5 15-ს მარტს.

მწყემსი

ოფიციალური ნაწილი.

საყოველთაოდ

განკარგულება საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორისა 26 იანვრიდამ 1888 წ. № 226.

უქაზისა მებრ მისი იმპერატორებითის დიდებულებისა, საქართველო-იმერეთის უწმიდესის სინოდის კანტორამ მოისმინა: უწმიდესის სინოდის გადაწყვეტილება, შემდგარი ოკტომბრის იდ-სა რიცხვსა ჩყპზ სა წელსა 2138 ნომრით მაზედ, რომ რომელიმე კონსისტორიები აძლევენ ქმრიანს ქალებს მეტრიკულს მოწმობათა დაბადებასა და მონათვლასა ზედა მათის შვილებისა და ესე შვილები იმ მოწმობაებში იხსენებიან უკანონო შობილად, და რომ ესეთი შეცდომილებანი არ მოხდეს, ბრძანეს: ყოველის ეკლესიის კრებულს უნდა ჰქონდეს სახეში და აღასრულებდეს შემდეგს: ა) ყველა ახლად დაბადებულნი, რომელნიც შობილ იქმნებიან ქმრიანი ქალისაგან მისი ქორწინების არსებობის დროს და განმაელობასა შინა სამას ექვსის დღისა ქმრის სიკვდილის შემდეგ, ანუ მათის ქორწინების დარღვევის შემდეგ, ესრეთი ყრმანი ირიცხებიან ყოველთვის კანონიერ შობილად (იხილეთ ესე რით მუხლში მეათე ტომისა, პირველის ნაწილისა); ბ) თუ მამა ბავშვისა მისს უკანონოდ, ვითომც, შობაზედ იფიქრებს რასმეს, მაშინ იმან უნდა განაცხადოს ესე სამოქალაქო სამჯაროსა შინა (იხილე რკზ მუხლი იმავე კანონების ტომისა); და გ) გინდ რომ ყმაწვილის ქმრიანმა დედამ, ანუ მისმა ქმარმა და ნათესავებმა კიდეც რომ განაცხადონ იმა ახლად შობილის უკანონოდ შობა, მაინც ადგილობრივ მღვდელს არა აქვს ნება, რომ ამნაირი ყმაწვილი ჩასწეროს მეტრიკის წიგნში უკანონოთ შობილათ, ამისთვის სინოდის კანტორამ დაადგინა: მიეწეროს ყველა მრევლის მღვდლებს და მონასტრების წინამძღვართა, რომ მათ ჩასწერონ ხოლმე მეტრიკის წიგნებში კანონიერ შობილათ ის ყრმანი, რომელნიც შობილ არიან ქმრიანი ქალებისაგან მათი ქორწინების არსებობის დროს, ანუ სამას ექვსის დღის განმაელობასა შინა შემდეგ მათის ქორწინების დარღვევისა და არ მიაქციონ ყურადღება მათი დედმამის განცხადებას, იმა ბავშვების უკანონოდ შობაზედ. კიდეც რომ ის ცოლ-ქმარნი ერთად არ ცხოვრებდენ. ბაეგზავნოს პირი ამა უქაზისა ჟურნალ «მწყემსი»-ს რედაქციას დასაბეჭდათ რუსულ და ქართულ ენაზე სამღვდელოთა სახელმძღვანელოდ.

სინოდის კანტორის წევრი არქიმანდრიტი მაკარი

სეკრეტარი მ. სუხიევი

სტოლის უმფროსი ი. კიკნაძე.

იმერეთის ეპარქიალური სამოსწავლებლო რჩევისაგან.

იმერეთის ეპარქიალური სამოსწავლებლო რჩევა ამით აცნობებს საყოველთაოდ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებას, რომ მისი ყოველად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოზი ბაბრიელი,—შემდეგ ცნობების მიღებისა რწმუნებულს მისი ყოველად უსამღვდელოესობისადმი სამღვდელოებისაგან შესახებ გადადებისა, შეძლებისამებრ, ყოველ წლობით ერთი ნაწილის საეკლესიო კრუშკებით მოგროვილ ფულებისა დანაშთენთაგანს იმერეთის საეკლესიო სამრევლო სკოლების სასარგებლოდ საფუძველსა ზედა უწმიდესი სინოდის უქაზისა 20 იან. 1886 წ. № 13,—საჭიროდ ჰპოებს დააწესოს 5% (ხუთ სარგებლიანი) შემოსატანი თითოეული ეკლესიისაგან საშუალებათა გასაძლიერებლად გახსნისათვის და შენახვისათვის დასახელებულ სკოლათა. ბარდა ამისა საფუძველსა ზედა იმავე უქაზისა ბლაღოჩინებმა უნდა დააწესონ ეპარქიის ყველა ეკლესიებში განსაკუთრებითი კრუშკები შემოწირულებათა მოსაგროვებლად სამრევლო სკოლების სა-

სარგებლოდ და სულის წმიდის მოფენის დღეს, ყოვლად უსამღვდელოესს ცირკულიარის თანახმად, მოაგროვონ შეწირულებანი და ესრეთი შეკრებილი ფულები 5% ერთად უნდა გარდასცენ დაუყონებლივ იმერეთის ეპარქიალურ საძოსწაველებლო რჩევაში.

გორის მაზრის სამხედრო ბეგრის დაწესებულების თავსმჯდომარის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მიწერილობა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, მთავარ-ეპისკოპოზის პალლადის, საქართველოს ექსარხოსისადმი.

12 თებერვლიდამ 1888 წლისა № 49.

როცა ახალ-გაზდა ემაწვილი კაცნი გამოგვეავდა ჯარში წასასვლელად სოფელს დეკემბერში წარსულს 1887 წელს 14 ნოემბერს ბლაღოჩინმა მღვდელმა ზურაბ დჯიოევმა შეასრულა სამადლობელი პარაკლისი; ამავე თვის 16 რიცხვს, როცა ახლად გამოწვეულნი დაფიცებულ იქმნენ, მ. ზურაბ დჯიოევმა როგორც ახლად გამოწვეულთ, ისე იქ მყოფ პირთა ოსურს ენაზე უთხრა სიტყვა, რომელიც ამასთანავე იგზავნება; სიტყვის გათავების შემდეგ ბ. ზურაბ დჯიოევმა მიიწვია ახლად გამოწვეულნი პირნი სადილზე.

აშკარად გამოჩნდა, რომ მამა დჯიოევის სიტყვამ იმქიმედა როგორც ახლად გამოყვანილ ჯარის კაცებზე, ისე იქ დამსწრეებზე. ამიტომ ჩემს მოვალეობად ვსთვლი ვაცნობო თქვენს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, რომ მამა დჯიოევმა ეაკის მწყემსური და მამაშვილური დარიგებით და სალხზე ზედ-გავლენით დიდი შემწეობა აღმოუჩინა სამხედრო ბეგრის კრებულთა წევრებს.

ვაცნობებ რა ამას თქვენს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, ვალად ვსთვლი ვსთხოვო თქვენს მეუფებას, მოწყალეო მწყემსმთავარო, რათა უეურადღებოდ არ დასტოვოთ ბლაღოჩინის დჯიოევის საქებური საქციელი სხვათა სამაგალითოდ.

თავს-მჯდომარე სამხედრო ბეგრის დაწესებულებისა გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ი. სულხანოვი.

ამ მოწერილობაზე მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ პალლადიმ, საქართველოს ექსარხოსმა დააწერა შემდეგი განჩინება:

1888 წელსა თებერვლის 19 დღესა. ბლაღოჩინს დჯიოევს ეცხადება ჩვენი მწყემს-მთავრული მადლობა და ქება მისი საქებური მოქმედებისათვის; გაეგზავნოს როგორც თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოწერილობა, ისე ამასთანავე წარმოგზავნილი სიტყვა მ. დჯიოევისა ჟურნალ «მწყემსი»-ს რედაქციას დასაბეჭდად.

1888 წელსა, № 5 15 მარტს.

მწყემსი

1883-1888

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თვით . . .	5 მან.	12 თვით . . .	6 მან.
6 — . . .	3 —	6 —	4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატეა, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ახალი ზომები საქართველოს სამღვდელოების ნაყოფიერი მსახურებისა და მოქმედებისათვის მის მწყესებრივ ასპარეზზედ.

ჩვენს სამღვდელოებას ბევრი რამ ნაკლულევანებანი ჰქონდა, აქვს და, შეიძლება, შემდეგშიაც დიდხანს გაჰყვეს მასს ეს ნაკლულევანება, მაგრამ არავის არ შეუძლია უარი-ჰყოს, რომ ეს სამღვდელოება თან-და-თან იღვიძებს და იგნებს თავის ნაკლულევანებათა და მასთან, შეძლებისა დაგვარად, ცდილობს გაასწოროს ეს ნაკლი. ამ ნაკლულევანებათა შეგნებასთან ერთად ჩვენი ეხლანდელი სამღვდელოება ცხადათ გრძნობს და ხედავს თავის მოვალეობის უმაღლეს იდეალს და დანიშნულებას და ცდილობს მის ჯეროვანად განხორციელებას.

ხშირად შეხვდებით იმისთანა პირთა, რომელნიც ყოველივე ძველს აქებენ და ძველ წესთა ხელ-ახლად განხორციელებაში ხედავენ ახლანდელი დროის ნაკლულევანებათა გასწორების საშუალებას. აგრეთვე ძველი ჩვენი სამღვდელოება, შეიძლება, ბევრს უწინდელს წესებს ამჯობინებს ეხლანდელი დროისას, ვინაიდგან ამ სამღვდელოებას მამინ დიდი ზედ-გავლენა ჰქონდა ხალხზე და ნაყოფიერად მოქმედებდა ქრისტეს ყანაში. მაგრამ არ უნდა დაივიწყონ ისიც, რომ ძველი წესი ვარგოდა და ჰქონდა ძალა, სახელდობრ, მაშინ, როცა იგი არსებობდა და იმ გარემოებათა შორის, რომელნიც მას გარს ეხვივნენ; მაგრამ ეხლა, ცხოვრების სხვა პირობათა და მოთხოვნილებათა დროს, იგი ან სულ უღონო აღმოჩნდებოდა, ანუ მის მეათედს ვერ გააკეთებდა, რისიც გაკეთება შეეძლო ძველ კურთხეულ დროში. ძველ დროში სულ ცოტა სწავლა-განათლების მქონე მღვდელს შეეძლო იმის გაკეთება, რის გაკეთებაც ეხლანდელს დროში არ შეუძლია თვით უმაღლეს სწავლა-განათლების მქონე სასულიერო პირთა, კიდეც რომ ძალიან მოინდომონ. რომ გაცმა შეიგნოს ამის მიზეზი, საჭიროა საფუძვლიანად გამოიკვლიოს მაშინდელი და ეხლანდელი ხალხის გონებითი და ზნეობითი მდგომარეობა. მღვდლის სამოქმედო ასპარეზი არის ხალხის ზნეობითი ცხოვრე-

ბა; ამ ასპარეზზე ყოველთვის ერთი და იგივე იარაღით არ შეუძლია კაცს მოქმედება; აქ ერთს ადგილს რომ ერთი იარაღი კარგადა სჭრის, მეორე ადგილს ეს იარაღი სრულებით ჩლუნგი ხდება. რომ ძველი დროის საშუალებანი არ გამოადგება დღეს ჩვენს სამღვდელოებას მისი დიდი მოვალეობის მტკიცედ აღსრულებაში, ამას ჩვენი სამღვდელოება თვითონა გრძნობს და ამიტომ ცდილობს გამონახოს ახალი საშუალებანი, რომელსაც ითხოვს ეხლანდელი დროის და ცხოვრების პირობანი. ამ გვარად დღეს ჩვენს სამღვდელოებაში შენიშნავს კაცი რაღაცა წინ-მსვლელობას. ამისთანა დროს ყოველთვის საჭირონი არიან მზრუნველნი და გზის მაჩვენებელნი პირნი, რომელთაც შეეძლოსთ შენიშნონ საზოგადოების წინ-მსვლელობა და გაარკვიონ იგი ყოველის მხრით, რომ გამოღვიძებულს საზოგადოებას გაუძღვენ წინ, რომ ამ საზოგადოებამ საქმით განახორციელოს თავის მოსაზრებანი. მთელი საქართველოს სამღვდელოებისათვის სწორედ ამისთანა პირად გამოჩნდა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პალადი, ექსარხოსი საქართველოსი. მათმა მეუფებამ აღნიშნა ახალი გზა საქართველოს სამღვდელოების განახლებისა და მისგან თავის მოვალეობის მტკიცედ და ნაყოფიერად აღსრულებისა და ყოველივე ამის დასაწყისად უნდა ჩავთვალოთ მწყემს-მთავრის პირველი საუბარი სამღვდელოების წარმომადგენლებთან ქ. თბილისში 16 თებერვალს ამა 1888 წელსა.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელნი მოწოდებულნი იყვნენ მათი მეუფებისაგან ქ. თბილისში, როგორც სასულიერო სასწავლებლის შესახებ საქმეებზე, აგრეთვე ეპარქიის საქმეებზედაც. სამღვდელოების წარმომადგენელნი თავდა-პირველად შეიკრიბენ ექსარხოსის სასახლის დარბაზში. მკითხველებმა აგრეთვე უწყიან, თუ მათი მეუფება როგორი სიტყვით მიეგება სამღვდელოების წარმომადგენელთ და რამდენს ხანს ისაუბრა მათთან მამაშვილურად. მწყემს-მთავრის დარბაზი ამ დროს სწორედ რომ საუცხოო სანახავი იყო. მწყემს-მთავარმა სთხოვა სამღვდელოების წარმომადგენლებს, რომელთა რიცხვი 60 იქმნებოდა, რომ დამსხდარიყვნენ, თვით მწყემს-მთავრი დაბრძანდა მათ შორის და ესაუბრა სამღვდელოების წარმომადგენელთ იმ საჭიროებათა და იმ საშუალებათა გამონახვის შესახებ, რომელნიც საჭირონი არიან სამღვდელოების მოვალეობის მტკიცედ და ნაყოფიერად აღსრულებისათვის. მათ მეუფებას წინდაწინვე ჰქონდა ამ პირველი საუბრის საბაასო საგნები აღნიშნულნი; ეს საგნები განუმარტა სამღვდელოებას და თავის აზრის დასამტკიცებლად მოჰყავდა სხვა-და-სხვა ფაქტები. ამ საუბრის საგნები, რიცხვით 12-მდე, დაბეჭდილნი იყვნენ «მწყემსი» ს მე-4 №-ში და ამიტომ მათი ხელახლად აღნიშვნა ჩვენ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია, მით ნამეტურ, რომ თვითოეული წინადადება ექსარხოსისა იქნება ჩვენგან მოყვანილი და განმარტებული. ამ საუბრის საგნებმა ჩვენში აღძრეს მრავალი მოსაზრებანი, შენიშვნები და მოფიქრებანი, რომლებზედაც ჩვენ გვსურს მოველაპარაკოთ დაწვრილებით ჩვენს მკითხველებს.

სამწუხაროა, რომ მწყემს-მთავრის საუბარი ვერ მოისმინეს მთელი საქართველოს საექსარხოსოის სამღვდელოების წარმომადგენელთა. მწყემსთ-მთავრის საუბარი მრავალ-შინარსიანი და მნიშვნელობიანი იყო და სჩანდა, რომ იგი მიმართული იყო მთელი საექსარხოსოის სამღვდელოებისადმი. *) ამისათვის ჩვენ ჩვენ მოვალეობადა ვსთვლით ამ საუბრის შინაარსი ბეჭდითი სიტყვის საშუალებით შევატყობინოთ მთელი საქართველოის საექსარხოსოის სამღვდელოებას.

დეკ. დ. ლამბაშიძე.

*) რადგან ბევრნი მღვდლები სიღარიბისა გამო ვერ იწერენ ჩვენს გამოცემას, ამიტომ იმ ნომრების თითო ცალი, რომლებშიაც იქნება აღწერილი და განმარტებული ექსარხოსის საუბარი სამღვდელოებასთან, უფასოდ გაეგზავნებათ მთელი საექსარხოსოის ბლაღოჩინებს, რათა მათ გარდაცენ ხოლმე ეს ნომრები წასაკითხავად მათდამი რწმუნებულ მღვდლებს, რომელნიც არ იწერენ ჩვენს გამოცემას.

ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება ქ. თბილისში. *)

მესამე კითხვა, რომელიც კრებას უნდა განეხილა, იყო შემდეგი: მეცადინეობა სამღვდელოთაგან დაარსებისათვის ეკკლესიებთან წიგნ-საცავთა, რომლებშიაც უნდა იმექონებოდეს განსაკუთრებით წმიდა მამათა ცხოვრების და მათი ღვაწლის აღწერა, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი და სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის წიგნები.

ამ საყურადღებო კითხვამ დიდი ბაასი გამოიწვია კრებაზედ. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ გრძელი ბაასისაგან კინაღამ არა სასიამოვნო დასკვნა გამოიყვანეს დეპუტატებმა. ზოგი დეპუტატი ამტკიცებდა, რომ ჩვენი ხალხი ჯერეთ იმდენად მომზადებული არ არის, რომ ამისთანა წიგნების კითხვა შეეძლოსო, ჩვენ ხალხში ჯერეთ წიგნების კითხვის სიყვარული არ არის გავრცელებულიო. ზოგნი ამტკიცებდენ, რომ ზემოთ აღნიშნული წიგნთ-საცავები ეკკლესიებისაგან ხარჯს მოითხოვს და ეს ხარჯი ეკკლესიას არა აქვსო; ზოგნი ამბობდენ, რომ ყველა ამისთანა წიგნების წაკითხვას დრო და მოცალება უნდა და მღვდლებს ეს დრო და მოცალება არა აქვსო. ერთის სიტყვით უმეტესი ნაწილი დეპუტატებისა წინააღმდეგი გახდა ამ კითხვის სისრულეში მოყვანისა. ამ დროს დეკ. დ. ღამბაშიძემ ითხოვა თავმჯდომარისაგან სიტყვის თქმის ნება. როცა მან ნება მიიღო, დაიწყო: «ეს კითხვა, სთქვა ღამბაშიძემ, მეტად საყურადღებო და სასარგებლოა და დიდ მოფიქრებას ითხოვს, ამიტომ, ჩემის აზრით, ყველას უნდა მიეცეს ნება თავისუფლად გამოსთქვას თავისი მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ. შეიძლება ჩემი სიტყვა სასიამოვნოდ არ დარჩეს ზოგიერთ ჩემ მოძმეებს, ამიტომ ბოდიშს ვითხოვ და ვაცხადებ ეხლავე, რომ იმის თქმას, რასაც მე მოგახსენებთ, მაიძულებს სიმართლე და ჩვენი სამღვდელოებისათვის კეთილ-წარმატების სურვილი. ზოგიერთი დეპუტატები, როგორც კრებამ მოისმინა, აცხადებენ, რომ ვითომ ჩვენი ქართველი ხალხი ჯერეთ იმდენად არ იყოს მომზადებული, რომ წიგნების წაკითხვა ეხალისებოდეს და ან სხვის წაკითხულს ყური დაუგდოს. ამ ზოგიერთების შემცდარს აზრს თითქმის მრავალი ჩვენგანნი დაეთანხმენ. ძალიან შემცდარნი არიან ისინი, რომელნიც ასე ფიქრობენ ჩვენს ხალხზედ. ძლიერ მოტყუებულნი არიან ისინი, რომელნიც ბძანებენ, რომ ჩვენ ხალხში პატარა წიგნაკების კითხვის სურვილი არ იყოს გავრცელებული. არა; ჩვენ ხალხში წიგნების კითხვის სურვილი არის, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენ თვითონ, მათი სულიერი მამები, არა ვართ ჯერეთ ისე მომზადებული, რომ სამწყსოს ჯეროვანი სულიერი საზრდო მივაწოდოთ. ჩვენ სრულებით არ ვაქცევთ ხალხის მოთხოვნილებას ყურადღებას და ამიტომ გვგონია, რომ ის ჯერეთ არ არის იმდენად გონება გახსნილი, რომ ან თვითონ წაიკითხოს რამე და ან წაკითხული მოისმინოს. განვმეორებ, რომ ჩვენ, მღვდლები, არა ვართ მომზადებულნი დროის მოთხოვნილების შესაფერად: ჩვენ არ შეგვიძლია მივაწოდოთ ხალხს შესაფერი სულიერი საზრდო და რომ ეს ჩვენი ნაკლულევანება დავფაროთ, ხალხს ვამტყუნებთ და ვამბობთ, რომ იგი ჯერეთ მოუმზადებელია და წიგნაკების კითხვა არ შეუძლიაო! რომ ხალხში წიგნების კითხვის სურვილი არის, ამაზე მე მოგახსენებთ შემდეგს: ვგონებ, თქვენ ყველამ იცით არსენას ლექსის წიგნი, იკითხეთ, რამდენჯერ გამოიცა ეს წიგნი და რამდენი ათასი დარიგდა ხალხში? მოიკითხეთ, რამდენი კარი გამოიცა ყარამანიანისა და რამდენი ათასი წიგნი გასაღდა ხალხში? ნუ დაივიწყებთ ამასთან, რომ თითო წიგნი ყარამანიანისა, ვგონებ, ექვს შაურად იყიდება; რამდენი ათასი ცალი წიგნი დარიგებულა ხალხში ქალ-ვაჟიანისა, ვარდ ბულბულიანისა და სხვა ამისთანა წიგნებისა? რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ხალხში ყოფილა და არის სურვილი პატარა წიგნების კითხვისა, რომ ხალხი კითხულობს ყოველ გვარს წიგნებს მათი შინაარსის და შემადგენელთა მიუხედავად. ჩვენი სისუსტით სარგებლობენ ვიღაცა სომხები აჰპატელიანცები და ქართულს ენაზე ადგენენ ხალხის საკითხავ წიგნებს. ამისთანა პირნი მარტო ფულს უყურებენ და არა წიგნის შინაარს. ეს არა მარტო საერო წიგნების შესახებ ითქმის. თუ კი მოიპოებოდეს სადმე სასულიერო შინაარსიის წიგნები, იმასაც ასე იყიდნენ. 1876 წელში ჩვენ გამოვეცით შემოკლებული პატარა ლოცვანი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ორი ათას ოთხასი ცალი გაიყიდა. ამ წიგნების რვაასი ცალის ფული, მართალია, გამსყიდველებმა შეგვიჭამეს, მაგრამ ხალხში მაინც გავრცელდა. 1884 წელში ჩვენ დავაკავეთ მრავალი წიგნაკები, რომლებსაც პროტესტანტები ავრცელებ-

*) იხ. „მწყემსი“ № 4, 1888 წ.

დენ ჩვენ ხალხში როგორც რუსულს, ისე ქართულს ენაზედ. ეს ამბავი თავის დროზედ გამოცხადებული იყო და კიდეც მიიღეს ჯეროვანი ზომები, რომ ამისთანა მავნე—შინაარსის წიგნები არ გავრცელებულიყო ჩვენს ხალხში. რას ამტკიცებს ყველა ეს ჩვენი ნათქვამი? იმას, რომ ჩვენ ხალხში წიგნების კითხვის სურვილი კი არის, მაგრამ ჩვენ სრულებით ხალხს ამ მოთხოვნილებას ყურადღებას არ ვაქცევთ. სამძღვარს გარეთიდამ პროტესტანტების და სხვა-და-სხვა აღმსარებელთა მღვდლები ჩვენს სამრევლოებს წიგნებს აწვდიან და ჩვენ კი გაჩერებულვართ და ვიძახით: ხალხი არ არის ჯერეთ მომზადებულიო. ამის შემდეგ რა უნდა სთქვან ჩვენზე?

თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ მღვთის-მშობლის სახელზედ დაარსებული «ძმობის» რჩევა ჩვენ წიგნაკებს გვაბეჭდინებდა. ეს წიგნაკები 2500 ცალი იბეჭდებოდა და ჩვენგანვე ურიგდებოდა ყოველ ეკლესიის მღვდელს საეკლესიოში. თითო წიგნაკის ფასი იყო ორი კაპიკი. ჩემგან დაბეჭდილი იყო სულ 10 № ამ წიგნაკებისა რიცხვით 25000 ცალი. შემდეგ დეკ. ჩუდეცკის გარდაცვალებისა ძმობის თავს-მჯდომარედ დაინიშნა დეკ. მ. ელიევი. მის ხელში ამ წიგნაკების მხოლოდ ორი ნომერი, ესე იგი, № 11 და 12 გამოიცა და მას უკან გადის აგერ ორი წელიწადი, და ამ წიგნების ხსენება აღარ არის.

ერთ დროს ახლად დაბეჭდილი წიგნაკები მიმქონდა ეგზარქოსში. ერთმა კაცმა ასი ეს წიგნაკი იყიდა ჩემგან. როდესაც უთხარი მას, რომ ყველა მრევლის მღვდელს ყოველ თვეში მოდის ორ-ორი ცალი ამისთანა წიგნაკისა ხალხისათვის წასაკითხავად, მან გაკვირვებით მომიგო, რომ მის მღვდელს არსოდეს არ წაუკითხავს ეკლესიაში ამის მსგავსი წიგნაკი და არც სხვა და ეხლა მე მიუტანთ თვითონ და ვეტყვი: «აჰა, მამაო, წაიკითხე თვითონ და სხვასაც წაუკითხე». შეიძლება, მართლა, რომ ამ წიგნაკების ფურცლები გაუჭრელიც იყოს ეკლესიებში, მაგრამ ეს იმას სრულებით არ მოასწავებს, რომ ჩვენ ხალხს ამ წიგნაკების შინაარსის მოსმენა ან ესიაძოვნოს და არ უნდოდეს. მე ესთხოვ კრებას, რომ ამ საგანზედ კარგად დაფიქრდეს და ჯეროვანი დადგინებით დააბოლოვოს ეს საყურადღებო კითხვა».

მამა დეკ. ელიევმა, რომელიც ამ დროს კრებაზედ ბრძანდებოდა, ლამბაშიძის სიტყვის შესახებ გლეხისაგან წიგნების კითხვის თაობაზე შენიშნა, რომ გლეხს კეთილი მიზნით არ უყიდნია მისგან წიგნები. გლეხმა იყიდა ის წიგნები, სთქვა ელიევმა, ბოროტ განზრახულებით და მაგგვარი გავრცელება წიგნებისა ხალხში სასიამოვნო არ არისო. გლეხმა იყიდა ფულის მოგებისათვის, რომ შემდეგ გლეხებზედ დუქანში ერთიორად გაასაღოს და არა იმ მიზნით, რომ კეთილი საქმე ჩაიდინოსო. ამაზედ ლამბაშიძემ დეკ. ელიევს მიუგო შემდეგი: თქვენ იმას ამტკიცებთ, თქვენდა უნებურათ, რასაც ჩვენ ვამბობთ; თუ ვიღაცა გლეხს ორ კაპეიკიანი წიგნაკის შაურად გასაღება შეუძლია, სადა ვართ მღვდლები, რომ ორ კაპეიკათ ვერ მივაწოდებთ სამწყსოს ამ წიგნაკებს?..

სამღვდელოების კრებამ გადასწყვიტა: იქმნეს დაარსებული პატარა წიგნთ-საცავები ეკლესიებთან, და ამისთვის იქმნენ მოპოებულნი ეკლესიების საშუალებით სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის წიგნები საკითხავად როგორც მღვდელთა, ისე მრევლთათვის.

უგზოური შემთხვევა გურიაში.

24 თებერვალს გაემგზავრნენ აქედგან ოდესაში საქმიმოდ გლეხები დათია ბალიშვილი, იმის ძმის-წული 13 წლისა სტეფანე და დვაბზუის საზოგადოების მცხოვრები, ივანიკა საბაშვილი, რომლებიც ცოფიანმა მგელმა დაჰკბინა 18 თებერვალს. საქმე ასე იყო.

ჩოლოქში (ძობულეთის განყოფილებაში) ბევრია თავისუფალი სახნავ-სათესი მიწა, რომელსაც ძობულეთლები იაფად იძლევიან სამუშაოდ, რის გამოც 20—40 ვერსის სიშორიდგანაც-კი მიდიან იქ გურულები, იწყევენ სიმინდს და იქვე ნალიაში (სასიმინდე) ინახვენ გაზაფხულამდე; ხოლო გაზაფხულზე ფშვნიან და ჰყიდიან იქვე ახლო დაბა შეკვეთილში. ამ განზრახვით წასულა ჩოლოქში 18 თებერვალს თავის სიმინდის გასაფშვნელად დათია ბალიშვილი ძმის-წულითურთ. რადგან ღამეს მოუსწრია, თავის ნალიამდე ველარ მიუწევია და სხვისს ნალიას ქვეშ დაბინავებულა; დაუბამს იქვე ხარები, გაუჩაღებია დიდი ცეცხლი და ნავახშმებს დაწოლილა ცეცხლის პირად, ერთის მხრით თვითონ, მეორე მხრით-კი ძმის-წული. შუა-ღამე იქმნებოდა, რომ დათია გამოულვიძებია შეში-

ნებული ხარების ბღავილს. ზეზე წამომხტარმა გლეხმა დაინახა, რომ სწრაფლად წამომდგარის ხარის ზურგიდგან დიდი მგელი გადმოვარდა და იმის წინ დაეცა. რადგან ხელად სხვა აღარაფერი დაურჩა, გლეხმა მუგუზალი აიღო და მგელს სთუთქა, თანაც ბიჭს დაუყვირა: მიშველეო. მგელი სწრაფლად ეცა გლეხს, ჯერ წვივის კუნთზე უკბინა, მერე მარცხენა ხელის ცერი წაჭგლიჯა. ეს მოხდა ერთის წუთის განმავლობაში. ამ დროს ბიჭიც წამოვარდა, სასთუმალს წალდი სდებოდა, აიღო და მგელს მოუქნია, მაგრამ მგელმა დაასწრო, ბიჭს მკლავში ჩაეჭიდა, შორს წაათრია, დაგდო და თვითონ ნელა გაუდგა გზასა. ბამწარებული დათია წალდით ხელში გამოუდგა ნადირს და ერთის ხელით წალდის დაკვრა მოუნდომა, მაგრამ ცოფიანმა ნადირმა დაასწრო და ცხვირ-პირში აეტოტმანა. ბლეხმა სახეზე უცებ ხელები მიიფარა და დაგლეჯისაგან იმდენად გადაირჩინა, რომ მხოლოდ ცოტათი დაეკაწრა შუბლი და ცხვირი, რის შემდეგ მარცხენა ხელის იღლიაში გაშმაგებით ჩაეჭიდა ცოფიანი ნადირი. ბამწარებულმა გლეხმა, როგორც იყო, მოიგდო ხელში ნადირის ნიკაპი და მაგრად ჩაუჭირა მარჯვენა ხელი, მარცხენა მკლავით-კი თავზე დააწვა და ასე საოცრად გააჩერა მგელი; თანაც ბიჭს მიაძახა: წალდი მომაშველეო. ბალახულმა და შეშინებულმა ბიჭმა ულონოდ დაუწყო ნადირს წალდით ცემა; მგელი-კი ამ დროს საშინელის მძინვარებით ასობდა კბილებს საწყალს მსხვერპლს, ვიდრე შუაზე არ გაჰსჩეხეს. ნადირი კი მოჰკლა, მაგრამ თვითონ ძალიან დაკბენილი გამოვიდა ამ ბრძოლიდგან მარჯვე ბალიშვილი, რომელიც დაკბენილია ცხვირსა და ფეხზე, ხელსა და იღლიაში. ძმის-წულს-კი მარტო მკლავი აქვს ნაკბენი. ერთის საათის წინ ამავე მგელს მეორე ნალიას ქვეშ დაეკბინა ივანე საბაშვილი, რომელსაც ნაკბენი თავზე აქვს.

მთელი ჩვენი სოფელი შეაძრწუნა ამ საწყლების მდგომარეობამ. ბოლოს გადასწყვიტეს, ოდესაში გაგზავნონ დაკბენილნი საექიმოდ. რადგან დაკბენილები ღარიბები იყვნენ, გაიმართა ხელის-მოწერა ამათთვის ფულის შესაწევრად. წარსულ კვირას, ნაწირვევს კიდეც მოაგროვეს კაი ძალი ფული. თუმცა ამ დღეს ცუდის დარის გამო ხალხი ნაკლებად იყო ეკლესიაში, მაგრამ მაინც ბახველების სასიქადულოდ უნდა ესოქვათ, რომ შეძლებისა დაგვარად ამ საქმეში შემწეობა არავის დაუზოგავს. ამ დღეს შეიკრიბა 40 მანეთზე მეტი ფული, მაშინ-როცა ოზურგეთში ამავე საქმისათვის მხოლოდ 19 მ. 65 კ. ძლივს შეეკრიბეთ. ამ ფულიდგან 5 მ. ბ-ნმა მაზრის უფროსმა შეაწია და მხურვალე მონაწილეობა მიიღო დაკბენილების მდგომარეობაში. მისწერა ოდესის ქალაქის პოლიციას და სთხოვა შემწეობა აღმოუჩინოს დაკბენილთა. ღმერთმა ჰქმნას, მორჩენილნი დაბრუნებულიყვნენ ოდესიდგან ჩვენი მგზავრები. («ივერია»).

წერილი რედაქტორთან!

წარსულს წელში გაზეთ «ივერიის მე-260 №-ში დაბეჭდილი იყო შენიშვნა შემდეგის სათაურით: «ერთის სურიელის ქართული კალენდარი».

ყოველ კალენდარზედ გამომცემლის სახელი და გვარი ზედ არის დაბეჭდილი, ამიტომ ადვილი და სამართლიანიც იქნებოდა, რომ ამ შენიშვნის დამწერს იმ კალენდრის გამომცემლის სახელი და გვარი გამოეცხადებია. მაშინ შენიშვნის წამკითხველი გაიგებდა, თუ რომელი კალენდარია «ერთის სულიერის კალენდარი», რომელიც სავსეა შეცთომებით, თორემ ივანეს კალენდარიც «ერთის სულიერის კალენდარი» ეგონებათ, «მრუდე და შეცთომებით სავსე», პეტრესიც და სხვ.

ამ ცნობის წაკითხვის შემდეგ ვიკითხეთ, ვიძიეთ და შეიტყეთ, რომ, «ერთის სულიერის კალენდარი, მრუდე და შეცდომებით სავსე» არის კალენდარი მიხეილ ახპატელოვისა, რომელსაც ამ 7-8 წლის განმავლობაში ბევრი წიგნები აქვს გამოცემული.

როცა ვინმე რომელიმე გამოცემას წუნასდებს, კიდეც უნდა დაასახელოს, თუ რაში მდგომარეობს ეს წუნი. იმ შენიშვნის დამწერს კი დაზარებია ახპატელოვის კალენდარის ნაკლულევანებათა დასახელება. ამისათვის ჩვენ აღვნიშნავთ აქ ზოგიერთ ნაკლულევანებათა, რომელნიც ბლომად მოიპოვებიან ახპატელოვის კალენდარში. პირველად ამ კალენდარში საქართველოს ეკლესიის წმიდანები არ არიან, არ არის ხსენება საქართველოს მეფის დავით აღმაშენებელისა, წმიდათა მამათა დავით გარეჯის უდაბნოს მოწყეულთა, შიო-მღვიმელისა, დოდო ბარეჯელისა, დავით ბარეჯელისა, წმ. მოწ. რაჟდენისა და სხვათა.

ახპატელოვს საქართველოს ეკკლესიის წმიდანები გამოურიცხავს, მას არა სურს, რომ ეხლანდელმა საქართველოს ეკკლესიამ იხსენიოს სახელები თავისი მიწა-წყლის ღვიძლი შვილებისა, რომელნიც წმიდა ეკკლესიას მიუღია, ღირსად უცვნია და დაუწესებია ხსენება მათი ყოველ წელს. მრავალი საუკუნოების განმავლობაში არ ხრებდენ საქართველოს მოსლემანები და სხვანი, ეკკლესიებსა ჰსცარცვიდნენ, ანგრევდნენ, მაგრამ ამ ქრისტიანობის სისხლის მსმელებმა ქართველებს ვერ დაავიწყებინეს თავისი საყვარელი წმიდანები; ეხლა კი ერთად-ერთი ახპატელოვი ცდილობს თავისი კალენდარით დაავიწყებინოს ხალხს მისი საყვარელი წმიდანების სახელები, უნდა სრულიად აღმოფხვრას იმათი ხსენება. ცხადია, რომ ამის გამგონს ყოველ ნამდვილ ქართველს გული უნდა შესტკივდეს და ხმა ამოიღოს.

ახპატელოვის კალენდარში სწერია: «ტფილისიდამ ფოსტა მიდის ერევანს და სხვ. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. იგდირს და სხვ. ოთხშაბათს და პარასკევს». ეს ტყუილია, ერევანს და სხვ. მიდის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათობით. იგდირს და სხვა.—სამშაბათს და შაბათს.

ახპატელოვის კალენდარში სწერია: «დეპეშის გასაგზავნ..., მთელი რუსეთი იყოფება სამ ნაწილად, თითო ნაწილი განიყოფება სამ წრედ,... ფასი დეპეშისა არის ათის სიტყვისა... 30 კაპ., 60 კაპ., თორმეტ აბაზი და 20 კაპ.»—ეს ტყუილია. რუსეთში დეპეშის ფასი ერთმევა 15 კაპ. და თითო სიტყვაზედაც 5 კაპ.

ავიღოთ ახპატელოვის რჩევა სხვა-და-სხვა სნეულების ექიმობაზედ.

«თავის ტკივილისათვის: მოიტანეთ ვარდის წყალი, შიგ ქაფური გალესეთ და თავზედ შემოადევით, მორჩება, ანუ პილპილი დანაყეთ, წყალში დაალბეთ, შუბლზედ შემოადევით და მორჩება».

ჰსთქვათ კაცს ანთებით თავი სტკივა, პილპილი დანაყეთ, შუბლზედ შემოადევით და მორჩება!!

უებარი წამლობა ყურის ტკივილისა.

«ყურის ტკივილისათვის: თხისა და კაცის შარდი გამთბარი ყურში იორთქლეთ, მორჩება ღვთით».

«ავიზნისათვის: დაიჭირეთ ერთი ზღარბი, ცოცხალს გულ-ღვიძლი ამოართვით, ფილტვიანათ გააჴმეთ და როცა დაემართოს, ღვინოში გალესეთ, ასვით სამ დღეს დილა-საღამოს, მორჩება». მორჩა და გაგათავდა!..

ქვიმატ დღეებში გაფრთხილება, არსად წასვლა და ცუდათ შინ ჯდომა ხომ ყველაფერს გადაეჭარბება!.. ვექსილის და გერბის ქაღალდების ფასი ახპატელოვის ისევე ძველებურია და ახალის ჯერ მას, როგორც ჰგავს, არა შეუტყია რა!

მეცხრე წელიწადია, ეს კალენდარი იცემა. სამწუხარო ის არის, რომ ამ ცხრა წლის განმავლობაში მთელ საქართველოში ერთს არავის შეუნიშნავს ეს ყალბობა. გარდა ამისა შეცთომებით სავსე კალენდარში 20 კ. იღებს. ახპატელოვის კალენდარს რომ გაუგონოთ, ბევრს უსიამოვნებას მიიღებთ.

ალ. ნადირაშვილი.

ბ ე თ ს ა მ ა ნ ი ა.

იერუსალიმში აღდგომის ტაძრის შემდეგ წმიდა ადგილად ითვლება ბეთსამანია, სადაც მრავალი მლოცველები დადიან. იესო ქრისტეს განხორციელების და მისი ქვეყნად მყოფობის დროს ბეთსამანია იყო პატარა სოფელი, რომლის მკვიდრნი ზეთის ხილისაგან ამზადებდენ ზეთს; ამ სოფლის მკვიდრნი დღესაც ამავე ხელობით ირჩენენ თავსა. სიტყვა ბეთსამანია ნიშნავს ზეთის ხილის წვენს და რადგან ამ სოფლის მკვიდრნი უმეტესად ზეთს ამზადებდენ, ამ ადგილსაც დაერქვა ბეთსამანია.

ბეთსამანია მდებარეობს ერთ ჩავარდნილს ხევში იოსაფატოვის მინდვრის ჩრდილოეთ ნაწილში, კედრონის ნაკადულის სათავის მარცხნივ, ორი მთის ძირძე. ამ მთებში ერთი ბეზეფის მთაა, რომელზედაც გაშენებულია ჩრდილოეთ-სამხრეთი ნაწილი იერუსალიმის უბნისა; ხოლო მეორე ელეონის მთა, საიდგანაც ამაღლდა ქრისტე ზეცად. ბეთსამანიიდგან უნდა გაიარო ძალიან აღმართ-დაღმართიანი გზა, რომელსაც შემდეგ მიჰყავხარ ქვიტკირის ხიდთან; ეს ხიდი გაკეთებულია კედრონის ნაკადულზე. ამ ხიდიდგან ელეონის მთაზე მიდის გზა, რომელიც მთლად მოფენილია ქვებით და ამიტომ ძნელი სავლელია. ეს გზა ბეთსამანიას ჰყოფს ორ ნაწილად. როცა ხიდზე გახვალ, მარჯვნით, ცოტა ზევით სძევს ბეთსამანიის ბაღი. მარცხნივ, ნაკადულის პირად არის გამოქვაბული, რომელიც შემოზღუდულია ქვიტკირის გალავნით. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამოქვაბულში არის მიძინების ტაძარი, ბაღი დღეს ფრანცისკანის ბერების ხელშია. ხოლო ტაძარი კი უმეტესად მართლ-მადიდებლებს ეკუთვნის. ამ ტაძარში ასრულებენ ღვთის მსახურებას ბერძნები, სომხები, კოპტები, აბესინიელები, სირიელები; ამათ გარდა ამ ტაძარში ასრულებენ ლოცვას მოსლემანებიც. ფრანგებს კი არ უშვებენ ამ ტაძარში ღვთის საეკლესიოდ. ისინი გამოუძევებიათ ამ ტაძრიდამ 1759 წელში.

ბაღს გარშემო შემოვლებული აქვს ქვის ზღუდე. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დატანებულია ისეთი პატარა კარი, რომ შესვლის დროს, თუ არ დაიღუნე, ისე ვერ შეხვალ. როცა გალავანს შიგ შედიხარ, ხედავ, რომ ეს ადგილი არც ბოსტანსა ჰგავს და არც ბაღს; მთელი ადგილი დაყოფილია პატარა სასეირნო გზებით. ლობეების პირად ჩამწკრივებულნი არიან ვეებერთელა ზეთის ხილის ხეები.



გეთსამანიის ბაღი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

უწმიდესს და უმართებულესს სინოდს საქართველოს საქსარსოლოის საეკლესიო საძრეველო სკოლების 188⁶/₇ სასწავლო წლის ანგარიშის განხილვის შემდეგ დაუდგენია: «თბილისის წმ. მარინეს ეკლესიის მღვდელს, სოლომონ შოშიევს მისი განსაკუთრებითი მოღვაწეობისათვის საერო განათლების საქმეში მიეცეს ჯილდოდ დაბადება». ასეთივე საჩუქარი მიუღია სიდნაღის მაზრის ერთ მღვდელსაც.

***

ჩვენ გვატყობინებენ, რომ მცხეთის და კასპის რკინის გზის სტანციების საადგურებ შუა, შიო მღვიმის მონასტრის მახლობლად მისი ოჯოლად უსამღვდელოესობის ალექსანდრე ეპისკოპოზის ხარჯით და მეცადინეობით გამართულ იქმნა ბაქანი (платформа), სადაც ოჯოველ დღე გაჩერდებიან რკინის გზის ვაგონები როგორც ბათუმიდამ მომავალი, ისე ბაქოდამ. ამ ადგილს ასეთი ბაქანის გამართვა დიდ შემწეობას მისცემს მლოცველებს, რომელნიც ბლომად დაიარებიან ხოლმე სალოცავად შიომღვიმის მონასტერშიდ.

***

მინამდის გამოანასხული იქმნებოდეს საშუალებანი სუხუმის ეპარქიის მართლ-მადიდებელი ეკლესიების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, უწმიდეს სინოდს, როგორც იუწყებიან რუსული გაზეთები, დაუდგენია: გაეგზავნოს ამ ეპარქიის ეკლესიებს 26 ცალი სამღვდელო შესამოსელი, 19 ცალი მთავარ დიაკონთა შესამოსელი, ოთხი ცალი შესამოსელი ტრაპეზისა, და სამსხვერპლოსათვის, ოთხი ცალი კრეთსამბელი სამეუფო კარებისათვის, ორი წყვილი ბაირაღი, ორი ცალი გარდამოსსნა, რამდენიმე ვერცხლის საეკლესიო ჭურჭლები, რვა ჯვარი, 39 სტი და ბევრი სხვა ნივთები. ეს ნივთები კიდეც გამოუგზავნიათ დანიშნულებისა მებრ.

***

ამას წინეთ რუსეთში ერთ საერო კრებაზე აღძრულ იქმნა შემდეგი კითხვა: შეუძლია თუ არა საერო კრებას, რომ ეკლესიის მოსამსახურენი ადირჩიოს მაზრის სამსჯავრო ბეგრის სამართველოის წევრებად, ანუ ამ წევრების კანდიდატებად. უწმინდეს სინოდს მიუღია მხედველობაში, რომ სამსჯავრო ბეგრის წესდების 90 მუხ. ძალით, გამოც. 1876 წ. მაზრის და სამოქალაქო სამსჯავრო ბეგრის დაწესებულებათა წევრების მოვალეობას არავითარიმე დამოკიდებულება არა აქვს მღვდლის მოვალეობასთან და ამიტომ მღვდლებისათვის აღუკრძალავს მიიღონ თავიანთ თავზე ესრეთი მოვალეობანი, ეს თავის დადგენილობა უწმ. სინოდს უცნობებია სახელმძღვანელოდ სასულიერო, სამხედრო და შინაგან საქმეების უწყებათათვის.

***

რომ უფრო დიდი საშუალება ექმნეს მართლ-მადიდებელ სამისიონერო საზოგადოებას, რომლის თავსმჯდომარედ ითვლება მისი მაღალ ოჯ. უსამღვდელოესობა მოსკოვის მიტროპოლიტი იოანნიკე, უწმიდეს სინოდს დაუდგენია, რომ დიდი მარხვის პირველ კვირას ყველა ეკლესიებში მოკრებილ იქმნეს შეწირულებანი, რომელიც უნდა მოხმარდეს მართლ-მადიდებლობის გავრცელების საქმეს კერძო-თაყვანის მცემელთა შორის.

***

რუსული გაზეთი «ნოვოე ვრემია» იუწყება, რომ ბ. საბინინის თხოვნა შეუწყნარებია უწ. სინოდს. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ბ. საბინინმა სთხოვა უწმ. სინოდს ნება-რთვა, რომ სიდნაღის მაზრაში დარსებულ ოთოვლიოო დედათა მონასტერი რუს და ქართველ მონაზონებისათვის და ამ მონასტერთან სახელსაქმრო სკოლა ამ მაზრის მკვიდრთა ღირებ ყმაწვილებისათვის. უწმიდეს სინოდს ნება მიუცია, რომ ამ საქმისათვის მოიკრიბოს შეწირულებანი. ღმერთმა ჴქნას, რომ ეს შეწირულებანი მოხმარებულ იყოს დანიშნულებისა მებრ.

***

მისი მაღალ ოჯოველ უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის პალოვდის ბრძანებით ამ დიდ მარხვაში კვირა-უქმე დღეებში წარმოთქმულ იქმნება ხოლმე ღვთის მსახურების გარეშე მოძღვრება-ქადაგებანი შემდეგს ეკლესიებში: კუკიაში, კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში და ვერაზე, ვერის იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიაში რუსულად; სიონში, ქაშუეთსა, აკლაბრის წმ. მარინეს და ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიებში ქართულად. იერუსალიმის წმ. ეკატერინეს ეკლესიაში—ბერძნულს ენაზე და ვერაზე წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში თათრულს ენაზე.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

მოწამე სარწმუნოებისათვის.

საეკლესიო—ისტორიული მოთხრობა.

(გაგრძელება *).

ერთხელ მეგობარი ქალები შეიკრიბნენ მარვარასთან და მხიარულად თამაშობდნენ და ატარებდნენ დროს ბაღში. მარვარას საყვარელ მეგობარ ქალს უეცრად უბიდამ გამოუვარდა რაღაცა ნივთი; მან შენიშნა ეს, სჩქაროდ დაიღუნა, აიღო გავარდნილი ნივთი და ჩაიდვა ისევ უბეში. თუმცა ეს უცბათ მოხდა, მაგრამ ახალგაზდა მარვარამ მაინც შენიშნა. იმან ძალიან მოინდომა ამ გავარდნილი ნივთის ნახვა, მით უმეტეს, რომ იგი იყო რაღაცა გასაკვირველი სახისა; ნივთი იყო ვერცხლისა,— ამის გარჩევა კი მოასწრო მარვარამ,—მაგრამ არ იყო არც ბეჭედი და არც სამაჯე; ამისთანა ნივთი მარვარას თავის დღეში არ ენახა წინათ. რა უნდა იყოს ის? ფიქრობდა ახალ-გაზდა ქალი.

სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ ის გასაკვირველი სახის ნივთი, რომელიც გაუვარდა მარვარას მეგობარს, არ ავიწყდებოდა მას. რა უნდა იყოს იგი?—ჰკითხავდა ხოლმე იგი თავის თავს და ბევრ რამეს ფიქრობდა ამ ნივთის შესახებ, მაგრამ რომელი იყო მართალი, არ იცოდა.

ამ საუცხოვო ნივთის ნახვის სურვილი ისე გაუცხოველდა გულში მარვარას, რომ იგი მეორე დღეს, თავის მოხუცებული გამდელით, წავიდა თავის საყვარელ მეგობარ ქალთან.

როდესაც ისინი დარჩნენ მარტოდ, მარვარამ მოჰკიდა თავის მეგობარს ხელი და ხვეწნით უთხრა შემდეგი:

— მითხარი, ჩემო ძვირფასო დაო, თუ რა ნივთი იყო ის, რომელიც შენ გუშინ უბიდგან გამოგივარდა ჩვენს ბაღში?

ამ კითხვაზე მარვარას მეგობარი შეკრთა და გაყვითლდა.

— არაფერი, არაფერი, უცებ წაილაპარაკა მან; მე არც კი ვიცი, თუ რას მკითხავ შენ.

— მე რაზე მიმალავ?— ჰკითხა მარვარამ; — შენ ხომ იცი, რომ მეც არაფერს გიმალავ შენ. შენ შენი საიდუმლო გამიმხილე. ახალ-გაზდა ქალმა დიდ ხანს არ უთხრა მარვარას იმ ნივთის სახელი და მნიშვნელობა, ბოლოს წარმოსთქვა:

— მე ვერ გაგიბედავ, გითხრა, თუ რა ნივთია იგი.

— ნუ თუ შენ ფიქრობ, უთხრა მარვარამ, რომ მე ბოროტად მოვიხმარებ შენ რწმუნებას? ჩემს გარდა, არავის არ ეცოდინება შენი საიდუმლო.

ქალიშვილმა პირ-და-პირ შეხედა მარვარას.

— შენ გაიგე რამე მეფის უკანასკნელ ბრძანებაზე? ჰკითხა მან მარვარას.

— გავიგონე; იგი ბრძანებს სდევნონ მათ, რომელნიც თაყვანს არა სცემენ ჩვენ ღმერთებს,—მიუგო მარვარამ.—გამოტეხილი უნდა გითხრა, ჩემო ძვირფასო დაო, რომ მე მზადა ვარ უარ-ვჰყო ჩვენი უსულო კერპნი. მე არ მესმის, თუ როგორ ხდება ის, რომ ხალხი, რომელსაც აქვს გონება, თაყვანსა სცემს მას, რაც თავისი ხელით შეუქმნია. და რად სდევნიან იმ ხალხს, რომელიც ნამდვილ ჭეშმარიტებას ლაპარაკობს? მაგრამ ჩვენ ავშორდით ჩვენი ლაპარაკის საგანს.

ამ სიტყვებზე მარვარას მეგობარმა ქალმა გამოიღო უბიდგან საიდუმლო ნივთი; ეს იყო ვერცხლის პატარა ჯვარი.

— აი ის ნივთი, რომელიც თქვენ დაინახეთ გუშინ,—გამხნევებით წარმოსთქვა მან.—ეს იმის მომასწავებელი არის, რომ ნათელმა სძლია ბნელს, კეთილმა ბოროტებას, სამოთხემ ჯოჯოხეთს და ცხოვრებამ სიკვდილს! ამ ნიშანს ჩვენ ყოველთვის გულზე ვატარებთ; მე მას შევსწირე ჩემი თავი და იმის მორწმუნე დავშთები სიკვდილამდე. ეს ნივთი არის ჯვარი. ჯვარზე ხალხის ცხოვნებისათვის ეცვა ქრისტე, ძე ღვთისა, რომელიც სამი დღის შემდეგ აღდგა მკვდრეთით. ისინი, რომელთაც სწამს ქრისტე, იწოდებიან ქრისტიანებად, რომელთა წინააღმდეგ არის აღძრული დევნა. მეც თვითონ, ჩემო ძვირფასო დაო, ქრისტიანე ვარ; ეს რომ მთავრობამ გაიგოს, მე ან უნდა ვეწამო, ანუ უარ-ვჰყო უფალი იესო ქრისტე.

მარვარა გაკვირვებით ისმენდა თავის მეგობრის მხურვალე საუბარს და უცქეროდა ხან მას და ხან ჯვარს.

— შენ სთქვი: ძე ღვთისაო,— ჰკითხა მარვარამ თავის მეგობარს,— მაგრამ რომელი ღვთის შვილია ეს ქრისტე?

— ღვთისა-შემოქმედის, ცხოველი ღვთისა, რომელმანც ყოველივე შექმნა და ყოველივეს განაგებს; მაგრამ ამაოდ-მორწმუნე ხალხმა დაივიწყა იგი და მის მაგიერ დაუწყო თაყვანის ცემა უსულო გამოხატულებათ.

*) იხ. «მწყემსი»-ს № 4.

— მეც ეს ღმერთი მრწამს, — გაბედულად წარმოსთქვა ვარვარამ; მაგრამ აქამომდე ვერავინ ვერაფერი ვერ შემატყობინა მასზე.

მოხუცებული გამდლის ხმამ, რომელიც უძახოდა თავის ვარვარას, შესწყვიტა მოსაუბრეთა მუსაიფი.

— დროა ეხლა მე სახლში წავიდე, სთქვა ვარვარამ, მაგრამ გთხოვ შენ, ჩემო ძვირფასო, რომ ხვალ ხელახლად ვიბაასოთ დიდ ღმერთზე და მის ძეზე. მომეცი მე აგრეთვე ჯვარი, ეს ქრისტიანობის ნიშანი, რომ მეც შევიყვარო ქრისტე. ვარვარას თხოვნა შეასრულა მეგობარმა ქალმა, შემდეგ ორივენი ტკბილად გამოემშვიდობნენ ერთი-ერთმანერთს და აღუთქვეს, რომ მეორე დღეს კიდევ შეყრილიყვნენ ერთად.

საეჭვო კითხვების განმარტება.

როგორ უნდა შეასრულონ წირვა ორმა მღვდელმა, როცა მთავარ-დიაკონი არა ჰყავთ?

როცა ორ მღვდელს სურს ერთად წირვა, მაგრამ მთავარ-დიაკონი არა ჰყავთ, მაშინ წირვას ასრულებენ შემდეგის წესით: ა) კვეთა და პირველი კმევა კათაკმეველთა წირვის წინად უნდა შეასრულოს უმცროსმა მღვდელმა; ბ) წირვის დასაწყისი და პირველი კვერექსი უნდა წარმოსთქვას უმფროსმა მღვდელმა; გ) მცირე კვერექსები ასამაღლებლებით უნდა წარმოსთქვას უმცროსმა; დ) «მცირე შესვლის» დროს სახარებას მიასვენებს უმცროსი მღვდელი, რომელიც წარმოსთქვამს აგრეთვე «სიბრძნით აღემართენით»-ს და «რამეთუ წმიდა არს»; ე) «წმიდაო ღმერთო»-ს შემდეგ «წარსადგომელ»-ს და სამოციქულოს და სახარების კითხვის წინ ასამაღლებელს «სიბრძნით» და «მოხედენ»-ს ამბობს უმცროსი მღვდელი; ხოლო «მშვიდობა ყოველთა»-ს — უმფროსი; ვ) სამოციქულოს კითხვის დროს აკმევს უმცროსი მღვდელი, ხოლო უმფროსი კითხულობს სახარებას და ამბობს «დიდს შეგვიწყალენს, კათაკმეველთა ზედა კვერექს და ასამაღლებელს «კათაკმეველნო განვედით» და სხვ. ამბობს უმცროსი, ხოლო უმფროსი უკანასკნელს კვერექს «რომელი ქერაბინთა»-ს წინ, იგივე აკმევს ამ საგალობლის გალობის დროს; ზ) როცა «დიდი შესვლა» იქნება უმფროს მღვდელს მიაქვს ბარძიმი და მოიხსენებს ხელმწიფე იმპერატორს და იმპერატრიცას, ხოლო უმცროს მიაქვს ფეშხუმი და იხსენიებს მემკვიდრეს და ყველა სამეუფო სახლს, უწ. სინოდს და ადგილობით მღვდელ-მთავარს, შემდეგ მოხსენებას ათავებს, ჩვეულებისა მებრ, უმფროსი სდგამს ბარძიმს ტრაპეზზე,ართმევს ფეშხუმს მეორე მღვდელს, სდგამს თავის ადგილზე და შემდეგ უკმევს, ხოლო უმცროსი ხურავს კრეთ სამბელს და ამბობს კვერექს «აღვუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა»; ჱ) «მშვიდობა ყოველთა»-დგან დაწყებული (შემდეგ ასამაღლებელისა «მოწყალებითა და სახიერებითა») ყოველივე წესს ასრულებს უმფროსი მღვდელი «და იყავნ წყალობა»-მდისინ; თ) კვერექს «ყოველთა წმიდათა მომხსენებელთა»-ს ამბობს უმცროსი მღვდელი, ხოლო უმფროსი წარმოსთქვამს «და ღირს მყვენ ჩვენ მეუფეო»-ს, გამოაქვს ბარძიმი და წარმოსთქვამს «შიშითა ღვთისათ»-ს და სხვათა «აწდა, მარადის და უკუნითი უკუნისამდე»-მდის; ი) კვერექს «შეგვიწყალენ, შეგვინდევ» ასამაღლებელით «რამეთუ შენ ხარ გამწმენდელი» ამბობს უმცროსი, ხოლო უმფროსი «რამეთუ შენ ხარ გამწმენდელი»-ს, ასამაღლებელის დროს იღებს სახარებას და ასვენებს მას ჩვეულებისა მებრ ოდიკზე; ია) ასამაღლებელს «მშვიდობით წარვიდეთ» ს და «ვევედროთ უფალსა» ამბობს უმცროსი მღვდელი; — იგივე კითხულობს, «რომელი აკურთხევდს», უმფროსი კი ასრულებს ჩამოლოცვას.

შ ი ნ ა ა რ ს ი: მმართებლობის განკარგულებანი. — არა ოფ. ნაწილი: ახალი ზომები საქართველოს სამღვდელოების ნაყოფიერი სამსახურისა და მოქმედებისათვის მის მწყესებრივ ასპარეზზე. — ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება ქ. თბილისში. — უბედური შემთხვევა გურიაში. — წერილი რედაქტორთან. — გეთსამანია. — ახალი ამბები და შენიშვნები. — მოწამე სარწმუნოებისათვის. — საჭირო ცნობები მღვდელთათვის.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 1888 г. 14 Марта.*

საკუთარი მსწრაფლ-მბეჭდავი რედაქციისა.